# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

**N 1 – 403/13**

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია „ 15 " თებერვალი **2016 წ.**

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 «ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ» (შემდგომ – «ხელშეკრულება») – «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონისა და «სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ» დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 «შემსყიდველი ორგანიზაცია» (შემდგომ «შემსყიდველი») ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 «მიმწოდებელი» ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 «ხელშეკრულების ღირებულება» ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 «დღე», «კვირა», «თვე» ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კახა კუპატაძე; ს/კ 212693049 ; "სახელმწიფო ხაზინა" ბანკის kodi TRESGE22; სახაზინო კოდი 3204050602; ქ.ქუთაისი თამარ მეფის №59;ტ 0431 24 53 45;* (შემდგომში «შემსყიდველი»)

(შემსყიდველის დასახელება და რეკვიზიტები)

და მეორეს მხრივ **სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მის: თბილისი, ასათიანის N9 ს/კ 211324351 ; *"სახელმწიფო ხაზინა" ბანკის kodi TRESGE22; სახაზინო კოდი707077027*** (შემდგომში „მიმწოდებელი") შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 ხელშეკრულების საგანია: კლასიფიკატორი **cvp კოდი–73100000 –ლაბორატორიული მომსახურეობა.**

4. ხელშეკრულების საფუძველი

4.1 „საჯარო სამართლის იურიდიული პირის– ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანების მე–3 მუხლის 2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი.

4.2 „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ –ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის #468 დადგენილება.

5. ხელშეკრულების ობიექტი

5.1. „შემსყიდველის"განსახორციელებელ სამეცნიერო კვლევით პროექტის FR/281/8-403/13 ფარგლებში „მიმწოდებლის" მიერ ლაბორატორიული კვლევების წარმოება მიკრობიოლოგიური მიმართულებით.

6. ხელშეკრულების ღირებულება და ფინანსური ვალდებულებები

6.1. მისაწოდებელი საქონლის საერთო სავარაუდო ღირებულება შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

6.1. ლაბორატორიული კვლევები და ტარიფები განსაზღვრულია 2015 წლის 14 სექტემბერის „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მომსახურების გაწევის ვადის, სახეების, საფასურის გადახდის და გადახდილი საფასურის დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის N468 დადგენილებით (დანართი N1).

6.2. ცვლილებები ლაბორატორიული კვლევების ტარიფებში წერილობითი სახით ეცნობება „შემსყიდველს“ ცვლილებამდე ორი კვირით ადრე.

6.3. „მიმწოდებელი“ ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენს „შემსყიდველსს“ გასული თვის შესრულებული სამუშაოების ინვოისს, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაციით (შესრულებული სამუშაოების უწყისი).

6.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია შესაბამისი ინვოისის მიღებიდან მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება დანართი #1-ში მითითებული ტარიფების შესაბამისად.“

6.5. თუ „შემსყიდველი“ გადააცილებს შესრულებული სამუშაოს საფასურის გადახდის ვადას, იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გაწეული მომსახურების ღირებულების 0.5%–ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულ დაფარვამდე.

6.6. დანართი #1-ით განსაზღვრული მომსახურების ტარიფები, კონტრაქტორის მიერ რეაქტივებითა და სახარჯი მასალებით უზრუნველყოფის შემთხვევაში მცირდება 30%-ის ოდენობით.

6.7. არსებული ფინანსური ურთიერთვალდებულებების დასადგენად კვარტალში ერთხელ მხარეებს შორის დგება ურთიერთშედარების აქტი. აღნიშნულის გარდა, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ ურთიერთშედარების აქტის გაფორმება, რომლის გაფორმება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

6.7 ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით, ჩარიცხვა მოხდება „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე.

6.8. მომსახურეობა გაწეული იქნება შემდეგ მისამართზე: **ქუთაისი, ოცხელის ქ.#2**

**7. მხარეთა ურთიერთ–მოვალეობები**

**„მიმწოდებელი“:**

7.1 ვალდებულია მოთხოვნათა შესაბამისად დროულად მოახდინოს სამეცნიერო ლაბორატორიული კვლევითი სამუშაოების განსახორციელებელი მომსახურეობა.

7.2 პასუხისმგებელია გაწეული მომსახურების ხარისხსა და ვარგისიანობაზე.

7.3 არ აგებს პასუხს“შემსყიდველის“მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

**„შემსყიდველი“:**

7.4 ვალდებულია „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში აუნაზღაუროს მას გაწეული მომსახურეობის ღირებულება.

7.5 უზრუნველყოფს სამეცნიერო პუბლიკაციებში და მოცემული პროექტის ანგარიშგებებში „მიმწოდებლის“ ჩართულობას.

7.6. „შემსყიდველი“ არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე ან ზარალზე.

7.7. „შემსყიდველი“ არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე.

**8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

8.1. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს „შემსყიდველის“ უფროსი სპეციალისტი თ.ჟვანია და გრანტის ხელმძღვანელი მაკა ჯავახია

**9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა**

9.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს,

შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლების გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 10. უფლებების გადაცემა

10.1 „მიმწოდებელს" არა აქვს უფლება „შემსყიდველის" წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

## 11. ფორს–მაჟორი

11.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

12.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულების 5.1. პუნქტის ლაბორატორიულ კვლევების გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში მას დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1% ოდენობით.

12.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა განხორციელდება მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გადასახდელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით.

12.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.2 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მეორე მხარეს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.4 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

## 14.დავების გადაწყვეტის წესი

14.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

14.2 თუ „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 15. სხვა პირობები

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 31.12.2016 წლამდე.

15.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

**შემსყიდველი ორგანიზაცია:**
**სსიპ აკაკი წერეთლის სახ. უნივერსიტეტ**
**მის:ქ.ქუთაისი, თამარ მეფის #59**

ს/კ 212693049
მიმღები ბანკი:
ბანკის დასახელება–„სახელმწიფო ხაზინა“
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშსწორების ანგარიში: 32 04 05 06 02
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

_____ კ.კუპატაძე

**მიმწოდებელი:**
**სსიპ ლ.საყვარელიძის სახ.დაავადებათა**
**კონტროლისა და საზოგადოებრივი**

ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
მის: ქ.თბილისი, ასათიანის #9
ს/კ 211324351
მიმღები ბანკი: –„სახელმწიფო ხაზინა“
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგ.
ბანკის კოდი: TRESGE22
მიმღების ანგარიში: 707077027
გენერალური დირექტორის მოადგილე

_____ ტ.ჭანტურიძე